ყვარლის მუნიციპალიტეტი

კონკურსის მეშვეობით სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

2015 წელი

საკონკურსო განცხადება

1. ყვარლის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია ყვარლის მუნიციპალიტეტში 2015 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საუკეთესო არქიტექტურული პროექტის გამოვლენა და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.
3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 7000 (შვიდი ათას) ლარს.
4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ- გვერდზე (http://contest.procurement.gov.ge/?act=1)
5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე–4 ან მე–5 პუნქტის დარღვევით
წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2015 წლის 12 მაის 11:00 საათზე .
10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2015 წლის 12 მაის 15:00 საათზე.
11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 12 მაის 11:00 საათზე .
საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ყვარელი კუდიგორის ქ #N1, I სართული
12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
15. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:
საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–სჩათვლით)
გასაწევი მომსახურების სრული არქიტექტურული (ნახაზები) კონცეფცია.

ინფორმაცია მომსახურების ვადის შესახებ;• ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ; რეკვიზიტები;
16. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
17. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.
18. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა
არქიტექტურული კონცეფცია, დიზაინი 0.7
საკონკურსო წინადადების ფასი 0.3
შენიშვნა: შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.
19. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 30 დღეში საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა.
20. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.
21. წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან,
კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.
22. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
23. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან:
დავით მამულაშვილი 599 73 88 82

ტექნიკური დავალება

კახეთის რეგიონში ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. შილდის სკვერის კეთილმოწყობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

 აღნიშნული ობიექტის სამშენებლო ღირებულება საორიენტაციო უნდა შეადგენდეს 150 000 (ას ორმოცდაათი ათას) ლარს

- ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. შილდის სკვერის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები. (იხილეთ ფოტომასალა)

- ძირითადი პირობები

საპროექტო სამუშაოების შემსრულებელი შემსყიდველთან შეთანხმებული ჩამონათვალის შესაბამისად, წარუდგენს კონკურსით გათვალისწინებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციას. იგი ვალდებულია გაითვალისწინოს შემსყიდველის შენიშვნები და წინადადებები, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება შესრულებელი სამუშაოების ანაზღაურებას.

•ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. შილდის სკვერის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გასათვალისწინებელია:

1.საფეხმავლო ბილიკები ორივე მხრიდან ბორდიურებით

2.გაზონების მოწყობა ბალახიანი ბელტის დაგებით

3.ღია ბუნგალოს მოწყობა ოთხ ადგილას ზომებით (5X3)მ ლითონის კარკასზე მაგიდით და მაგიდის გარშემო სკამებით

4.სკვერის ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა დეკორატიული განათების ბოძებით

5.საბაღე სკამების მოწყობა

6.სასმელი წყლის ქსელის და ორ ადგილას სასმელი წყლის ფანტანის მოწყობა

7.საბავშვო ატრაქციონების მოწყობა ორ ადგილას (აიწონა-დაიწონა, ჩამოსაცურებელი, საქანელა)

8.დასავლეთი პერიმეტრის გასწვრივ დეკორატიული ღობის მოწყობა ბეტონის ცოკოლით სიგრძით დაახლოებით 200 მეტრი.

9.ტუალეტი ორ თვალზე ერთ ადგილას.

10.არსებული საჭიდაო არენის სახურავის მოწყობა

11.ტერიტორიის ხმელი ნარგავებისგან გასუფთავება

12.ცარიელი ადგილების მარადმწვანე ნარგავებით შევსება

ობიექტის აღწერილობა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ყვარლის მუნიციპალტეტის სოფელ შილდაში რომლის ფართობია 1.5 ჰა. სკვერს დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება მდინარე ჩელთის-ხეობა, რომლის გასწვრივაც იგეგმება დეკორატიული ღობის მოწყობა სავარაუდო სიგრძით 200 მ. აღნიშნული სკვერის ტერიტორიის ჩრდილეოთ ნაწილში მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცენტრის (“სოფლის სახლი“) მშენებლობა და მისი გარე პერიმეტრის კეთილმოწყობა და მისასვლელი გზის მოასფალტება. საკონკურსო სკვერის ტერიტორიაზე მოეწყობა რკ.ბეტონის სანიაღვრე არხი. გასათვალისწინებელია ტერიტორიის კეთილმოწყობის (გაზონი, საფეხმავლო ფილები, ყვავილები, სკამები, ურნები) სამუშაოები. მოსაწყობია ბუნგალო ოთხ ადგილას, სკვერის განათება და არსებული საჭიდაო არენის გადახურვა.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. განმარტებითი ბარათი
2. სიტუაციური გეგმა 1:250
3. საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა 1:500
4. ტერიტორიის გენერალური გეგმა 1:250
5. არქიტექტურული პროექტი (ჭრილები, 3D ვერსია)
6. კონსტრუქციული პროექტი
7. ელმომარაგების პროექტი (გარე განათების სქემა)
8. წყალგაყვანილობის გეგმა
9. კანალიზაცია
10. ხარჯთარიცხვა(წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 კვირის ვადაში)
11. რენდერები

საპროექტო დოკუმენტაციის ობიექტი უნდა იყოს ესთეტიკურად დახვეწილი და მაქსიმალურად ინტეგრირებული ბუნებრივ ლანდშაფტთან.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ (DWG, PLN, PDF გაფართოების ფაილი _ ACHICAD) ფორმატში.

საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 7000 ლარს, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები.

საპროექტო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით. პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
(პროექტი)
ხელშეკრულება

ქ.ყვარელი ----------2015 წელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემდეგში შემსყიდვლად წოდებული და მისი წარმომადგენელი ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლი ილია მზექალაშვილი სახით--------(შემდგომშიმიმწოდებელი)შორის.იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით,რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა ----------საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება----------ლარად შეასრულოს აღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს დღის ვადაში.

2.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"(შემდგომში„ხელშეკრულება") „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება,რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით,რომელზეც ხელშეკრულებაშიარის მითითებული;

1.2. „შემსყიდველი"ნიშნავს ორგანიზაციას,რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3.„მიმწოდებელი"ნიშნავს იურიდიულან ფიზიკურ პირს,რომელმაც „შემსყიდველთან"გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4.„ხელშეკრულებისღირებულება"ნიშნავს საერთო თანხას,რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდებლის"მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედ მიწევნით შესრულებისათვის;

1.5.დღე,კვირა,თვე ნიშნავს კალენდარულ დღეს,კვირას,თვეს,თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

3.ხელშეკრულების საგანი

3.1.ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო და სქემატური გეგმის მიწოდება დანართი

4.ხელშეკრულების ღირებულება

4.1.ხელშეკრულების ჯამურიღი რებულება შეადგენს----------ლარს;

4.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

5.ანგარიშსწორებისფორმადა ვადები

5.1.ანგარიშსწორება განხორციელდებაუნაღდო ანგარიშს წორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში„„მიმწოდებლის"მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;

5.2.„მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს თვეში ერთჯერ ხელშეკრულებით გათვალისწინებლი მომსახურების და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე ყოველი თვის ბოლოს მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში

6.მიღება-ჩაბარების წესი

6.1.„მიმწოდებლი „შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს;

6.2.მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:გაწეული
მომსახურების და სახელება ,მოცულობა და ღირებულება;

7 .მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

7.1.მომსახურეობის გაწევის ადგილად განისაზღვრება ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული მისამართი;

8.1„შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.მხარეთაუფლება-მოვალეობანი
-„მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა;
-ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
8.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად
8.3 „მიმწოდებელს“უფლება აქვს:
-მოსთხოვოს„შემსყიდველს“ მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4 „მიმწოდებელი“ვალდებულია:
-შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების,სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში,რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6მუხლში;
-უზრუნველყოს მომსახურების შესრულება ტექნიკურ დავალებაში,სატენდერო წინადადების განფასებისა და მისი დანართის შესაბამისად;
-იმ შემთხვევაში,თუ შესრულებული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს (რის შესახებაც მაც წერილობით აცნობებს „შემსყიდველი)საკუთარი ხარჯებით აღმოუფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.
9.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
9.1 . „შემსყიდველი”უფლება მოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს კონტროლი შესრულებულ მომსახურებასთან დაკავშირებით
9.2ხელშეკრულების ინსპექტირებას შემყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციიდან შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი
9.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლისან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
9.4გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაამისად.
10.2ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 1%- ის ოდენობით;
10.3იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამირი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი)%-ს „შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს „მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
10.4პირგასამტეხლოსა გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;
11.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
11.1არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა,ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია
11.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია,თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.4საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების10% მეტი ოდენობის გაზრდა..
11.5ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.ფორს-მაჟორი

12.1.ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.
12.2.ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული„შემსყიდველისა“ან „მიმწოდებლის“შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით,სტიქიური მოვლენებით,კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა. დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.თუ შეტყობინების გამგზავნიმხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზან შეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიურლი ხერხები,რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს- მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.დავებიდა მათი გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოსმოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

14.სხვა პირობები

14.1.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.2.მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით,ხარჯითა და რისკით.
14.3.ხელშეკრულება შედგენილი ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად,რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალადა ინახება ხელმომწერ მხარეებთან.
14.4.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.5.ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება,რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში ;ხელშეკრულებით გათვალისწიებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე

დანართი#1

17 05 2013 21 09

17 05 2013 21 21